ერთ ბანკნოტში ჩატეული საქართველოს ისტორია

ნიკოლოზ სეფიაშვილი

მკვლევარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ნივთების კოლექციის ინტერესი ბავშვობიდანვე გამიჩნდა. დაინტერესებული ვარ ყველა ნივთით, რომელიც უკავშირდება საქართველოს პირველ რესპუბლიკას, ეს შეიძლება იყოს: საბუთები, ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები, წიგნები, ბარათები და ა.შ.

თუკი მკითხავთ რატომ პირველი რესპუბლიკა, გეტყვით, რომ სწორედ მისი არსებობის პერიოდში, 1918-1921 წლებში, საქართველოში გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური კუთხით. დაიწერა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი...

სწორედ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს ქვეყანამ მრავალწლიანი ოკუპაციის შემდგომ მოიპოვა სუვერენიტეტი და ქართველ ხალხს დამოუკიდებლად მიეცა ქვეყნის განვითარების პერსპექტივა.

სწორედ პირველი რესპუბლიკის დროს სახელმწიფოს დონეზე განისაზღვრა საქართველოს, როგორც ევროპული ოჯახის განუყოფელი ნაწილის, დასავლეთისკენ ორიენტაცია.

1918 წელს პირველად საქართველოში მონარქიული წყობილება პროგრესულ და დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული რესპუბლიკური წყობით შეიცვალა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართალია, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ სულ რამდენიმე წელი იარსება, მაგრამ მისი ისტორიული დანატოვარი უმნიშვნელოვანესია და დღემდე აქტუალური თანამედროვე საქართველოსთვის; იმ რესპუბლიკისთვის, რომლის მოქალაქეც ვარ და სადაც ვაპირებ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ამგვარად, ჩემთვის ძალიან ძვირფასია ყველა ის ასწლოვანი ისტორიული ნივთი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიასთან, საქართველოს სუვერენიტეტთან, თავისუფლებასთან, ანუ 1918-1921 წლების პირველ რესპუბლიკასთან ასოცირდება.

საუბარს დავიწყებ მეტად საინტერესო ნივთით, ისტორიულად პირველი ქართული ქაღალდის ფულადი ნიშნით - ქართული ბონით, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს იყო დროებითი ფულადი გადახდის საშუალება.

ჩემს კოლექციაში არსებული ბანკნოტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წელს გამოცემული 5000 მანეთის ნომინალის ბანკნოტია:

ბანკნოტი რამდენიმე წლის წინ შევიძინე კერძო პირისგან, რომლისთვისაც უცნობი იყო მისი პირველი მფლობელის ვინაობა. სანამ უშუალოდ ბანკნოტის აღწერასა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ, აუცილებელია ვახსენოთ პირველი ქართული ეროვნული ქაღალდის ფულადი ნიშნების შექმნის ისტორია.

1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის გაუქმება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე შემუშავდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მოწყობა და განისაზღვრა მისი საშტატო ერთეულები. სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით ფინანსთადა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები გაერთიანდა და ერთ სტრუქტურულ დაწესებულებად ჩამოყალიბდა:

„ზემოთ აღნიშნული განსაკარგავი სფეროების გარდა, ფინანსთა სამინისტროს მინდობილი აქვს სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციები, სახელმწიფო სესხების მართვა, ზედამხედველობის გაწევა საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დადგენილებებზე, ასევე ზედამხედველობის გაწევა კერძო და სახელმწიფო სარკინიგზო გზებზე, ტარიფების დადგენაში".

ფინანსთა და ვაჭრობა-მრწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა შედგებოდა: მინისტრისგან, საბჭოსა და მინისტრის ორი ამხანაგისგან. მინისტრის ამხანაგი პოსტით დღევანდელი მინისტრის მოადგილის ტოლფასი იყო. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო შედგებოდა ორი ძირითადი სექტორისგან: საფინანსო და ვაჭრობა-მრეწველობის. მინისტრის თითოეული ამხანაგი პასუხისმგებელი იყო მასზე მინდობილი სექტორის მუშაობაზე[1].

თავდაპირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობას იკავებდა გიორგი ჟურული, ხოლო მინისტრის ამხანაგის თანამდებობას საფინანსო სექტორში - კონსტანტინე კანდელაკი. მოგვიანებით, 1919 წლის 21 მარტს, კონსტანტინე კანდელაკმა ჩაანაცვლა გიორგი ჟურული მინისტრის პოსტზე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბჭო აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა გადაწყვეტილების შემუშავებასა თუ შემდეგ მის განხორციელებაში.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურის უკეთ გასაანალიზებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მისი დიაგრამული სახე:

[1] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში", თბილისი, 2018 წ. გვ. 5.


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო
საფინანსო სექტორი
ვაჭრობა-მრეწველობის სექტორი
საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება
გადასახადების განყოფილება
საკრედიტო განყოფილება
ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სექტორთა საერთო განყოფილებები:
საერთო განყოფილება
საერთო რეგისტრატურა
სავაჭრო - სამრეწველო განყოფილება

როგორც სქემიდან ჩანს, საფინანსო სექტორი შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისგან:

1. საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება;
2. გადასახადების განყოფილება;
3. საკრედიტო განყოფილება.

საფინანსო და ვაჭრობა-მრეწველობის სექტორთა საერთო განყოფილებებს მიეკუთვნებოდა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილება და საერთო რეგისტრატურა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სექტორთაგან განცალკევებით იდგა სამინისტროს სტატისტიკური სამსახური[2].

ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების მთავარი მოვალეობა იყო ქვეყნის მასშტაბით საბიუჯეტო შემოსავალ-გასავლის კონტროლი. რაც შეეხება საკრედიტო და საგადასახადო განყოფილებებს, ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად საგადასახადო განყოფილებას ევალებოდა: სახელმწიფო გადასახადების აკრეფა, მათ შორის, საგერბო და სააქციზო მოსაკრებლების, ასევე ზედამხედველობა სახაზინო მონოპოლიებზე.

საკრედიტო განყოფილებას ევალებოდა - საკრედიტო ოპერაციათა ზედამხედველობა, სახელმწიფო და კერძო ბანკების მოქმედებებზე თვალყური, იმ საქმეების განკარგვა, რომლებიც უკავშირდებოდა შიდა და გარე სახელმწიფო სესხებს, სამონეტო და ქაღალდის ფულის გამოშვებას.

სახელმწიფოს მასშტაბით ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ნიშნების გამოშვება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საკრედიტო განყოფილების კომპეტენციაში შედიოდა, კერძოდ სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდი ექსპედიცია ახორციელებდა ფულადი ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების ბეჭდვას[3].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ისევე როგორც ამიერკავკასიის პერიოდში, ქაღალდის ფული იბეჭდებოდა თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში (რუსთაველის გამზირი N1) განთავსებულ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში.

ფულის საბეჭდ ექსპედიციაში გამოშვებული ბონი შედიოდა რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში. საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-

[2] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, გვ. 7.
[3] იქვე, გვ. 8.

მრეწველობის სამინისტროს დადგენილების თანახმად, სწორედ აქედან ნაწილდებოდა ბონი ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა სახაზინოში.

1920 წლამდე საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მოვალეობას რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ითავსებდა, თუმცა რეალურად იგი მთლიანად დამოკიდებული იყო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროზე. მას არ შეეძლო ფულადი ემისია ან საკრედიტო და საბანკო ოპერაციებზე თვალყური. ამ ფუნქციებს დროებით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის საკრედიტო განყოფილება და ფულის საბეჭდი ექსპედიცია ითავსებდა.

რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისრის ზედამხედველობის ქვეშ მუდმივად იმყოფებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, თბილისის ბანკის სახელმწიფო კანტორა იყო უბრალოდ სალარო, საიდანაც ხდებოდა ფულის გადანაწილება ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ სახაზინოებში[4].

საქართველოს ცენტრალური ბანკის გახსნა და მუშაობა 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. თუ რატომ ვერ მოხერხდა მანამდე საქართველოს ცენტრალური ბანკის შექმნა, რა თქმა უნდა, ობიექტურ მიზეზებთან და მწვავე ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდი ექსპედიციის შტატი:



[4] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, გვ. 8.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდ ექსპედიციას ევალებოდა რესპუბლიკის ბონებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება.

იგი სტრუქტურულად პირობითად შეგვიძლია დავყოთ მთავარ და მასთან დაქვემდებარებულ სამ უწყებად. მთავარი განყოფილება შედგებოდა: ექსპედიციის გამგისა და მისი თანაშემწეებისგან.

მთავარ განყოფილებასთან დაქვემდებარებული უწყებები იყო:

1. საკონტროლო კომისია - ევალებოდა სახელმწიფო ქაღალდების ბეჭდვის პროცესზე ზედამხედველობა;
2. უშუალოდ ფულის ბეჭდვის განყოფილება, რომელიც შედგებოდა ფულის სამხატვრო და ლითოგრაფიული განყოფილებებისგან, ქაღალდის დაჭრისა და გადათვლის, ასევე საბეჭდ მანქანაზე მომუშავე პერსონალისგან;
3. სახელმწიფოს ქაღალდების საბეჭდი ექსპედიციის სამხედრო დარაჯი-ყარაული. შედგებოდა ერთი ოფიცრისა და მასზე დაქვემდებარებული 12 ჯარისკაცისაგან[5].

სახელმწიფო ქაღალდების საბეჭდი ექსპედიციის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფული გადაეცემოდა რუსეთის ყოფილი სახელწიფო ბანკის თბილისის კანტორას, რომელიც მას ანაწილებდა სახაზინოებში ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს რესპუბლიკის ხაზინების შტატი:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინოები თავისი მნიშვნელობის მიხედვით განისაზღვრებოდა დონეებით: 1-ლი რიგის ხაზინიდან მე-4 რიგის ხაზინამდე. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშნების განაწილებისას სახაზინოებში, პირველ ყოვლისა, დაბეჭდილი ფულადი ნიშნები ნაწილდებოდა უფრო მნიშვნელოვან - მაღალი რიგის სახაზინოში და შემდგომ მნიშვნელობით მის დაბლა მყოფ სახაზინოში.

[5] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1891, აღწერა.1, საქმე 96, ფ. 3.

ქვეყნის მთავარი ხაზინა იყო თბილისის ხაზინა. სახაზინოს იერარქია იწყებოდა ხაზინადრითა და მისი თანაშემწით, მთავრდებოდა რეგისტრატორებითა და ნაფიცი დამთვლელებით. მთავარ ხაზინას გამოყოფილი ჰყავდა 2 დარაჯი ყარაულად[6].

მთავარი სახაზინოს, თბილისის სახაზინოს შემდეგ, 1-ლი რიგის ხაზინა ქუთაისის ხაზინა იყო.

მეორე რიგის ხაზინები იყო: ფოთის, სოხუმისა და გორის.

მესამე რიგის ხაზინები: თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის, ჭიათურის, სენაკისა და ზაქათალის.

მეოთხე რიგის ხაზინები: ოზურგეთის, დუშეთის, შულავრისა და ონის[7].

შეჯამებისთვის, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნაღდი ფულის მიმოქცევის სქემა ფულის გამოცემიდან სამომხმარებლო მასაში გავრცელებამდე წარმოდგება შემდეგნაირად:

[6] სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 96, ფ. 4.
[7] სცსა, ფონდი 1891, აღწ.1, საქმე 96, ფ.. 5.



ამგვარად, ეროვნული ფული იბეჭდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საფინანსო სექტორის საკრედიტო განყოფილების ქვეშ არსებულ სპეციალურ სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციაში[8]. ეს ემისირებული ფული გადაეცემოდა რუსეთის ყოფილი სახელმწიფო ბანკის თბილისის ფილიალს (კანტორას), საიდანაც ფული ნაწილდებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახაზინოებში, სახაზინოებიდან კი – მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

თბილისის ფილიალიდან სახაზინოებში ფულადი მასის გადაცემა ხდებოდა სახაზინოების მნიშვნელობისა და თანრიგის შესაბამისად, რის შესახებაც სტატიის ზემო ნაწილში ვისაუბრეთ.

[8] 1920 წლის ივლისიდან ფასიანი ქაღალდებისა და ბანკნოტების გამოცემის ფუნქცია სახელმწიფო ბანკმა შეითავსა. სახელმწიფო ბანკის დაარსებამდე ფულის ემისიას ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ახორციელებდა.

1919 წლის 11 ივლისს საქართველოში დაიწყო ისტორიულად პირველი ქართული ეროვნული ბანკნოტების - "ბონების" - ბეჭდვა, რაც 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე გაგრძელდა[9].

1919 წლის 8 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის“ დეკრეტი, რომელიც ძალაში 1919 წლის 11 ივლისს შევიდა. მასში ნათქვამი იყო:

1. „ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთისა;
2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშვალებით ბონები გამოყიდულ უნდა იქნეს;
3. საქართველოს რესპუბლიკის ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით;
4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად;
5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა;
6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქმნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად;
7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი ან ერთ-ერთი ხელ-მონაწერი, ან ნომერი უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება;
8. ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით;
9. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ“[10].

1919 წლის ივლისში გამოიცა: 1, 3, 5, 10, 25, 50, 100 და 500 მანეთის ნომინალის ქაღალდის დროებითი ფულადი ნიშნები (ბონები), ასევე 50 კაპიკის ნომინალის ქაღალდის ხურდა ფული. 1920 წელს ქართულ კუპიურებს შეემატა 1000-მანეთიანი ბანკნოტი, ხოლო 1921 წელს - 5000 მანეთის ღირებულების ქაღალდის ფული.

[9] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, გვ. 23.

[10] სცსა, ფონდი 1833, აღწ.1, საქმე 538, ფ.6

მოკლე პერიოდში ახალ-ახალი, უფრო მსხვილი ნომინალის ბანკნოტების გამოშვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი სწრაფი გაუფასურება და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყო. ფულის გაუფასურებისა და ინფლაციის ფონზე არსებული წვრილი ნომინალური ღირებულების ქართული მანეთი ვეღარ აკმაყოფილებდა სამომხმარებლო მოთხოვნას.

ქართული ფულის გაუფასურებას მრავალი საგარეო და საშინაო მიზეზი ერთვოდა, მათ შორის უმთავრეს ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს:

- მსოფლიო ომის შემდგომი გლობალური ეკონომიკური კრიზისი. პირველმა მსოფლიო ომმა სრულიად მოშალა სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა ქვეყნებს შორის და სავსებით გააჩანაგა ქვეყნების ეკონომიკა.
- 1918-1921 წლებში საქართველომ გადაიტანა არაერთი ომი და აჯანყება. ქვეყანაში არსებული მუდმივი საომარი მდგომარეობა და სამხედრო მობილიზაცია დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა, რაც განაპირობებდა (ხელს უწყობდა) თავდაცვითი და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდას, ბიუჯეტის დიდი ნაწილის ხარჯვას სამხედრო-თავდაცვითი მიმართულებით, მაშინ, როცა მშვიდობიან სიტუაციაში შეიძლებოდა ამ თანხის დიდი ნაწილი მიმართული ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისკენ; ასევე მუდმივად საომარი და არასტაბილური მდგომარეობა ნეგატიურად აისახებოდა საქართველოში საინვესტიციო გარემოს შექმნაზე: უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის საკმაოდ სარისკო იყო არასტაბილურ ქვეყანაში საკუთარი ინვესტიციის დაბანდება.
- ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორი იყო კერძო ბანკების მიმართ მოსახლეობის სრული უნდობლობაც, ასევე მოუწესრიგებელი ფულად-საკრედიტო სისტემა ქვეყანაში. ეს ყოველივე განაპირობებდა მთავრობის მიერ ფულის ახალ-ახალი ემისიის გამოცემას, რაც ამავდროულად ფულის გაუფასურებასაც უწყობდა ხელს.
- 1920 წელს მოხდა საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორების: სომხეთისა და აზერბაიჯანის გასაბჭოება, რის შედეგადაც საქართველო ფაქტობრივად სრულიად მარტო აღმოჩნდა კავკასიის რეგიონში, მეზობელი ეკონომიკური პარტნიორი ქვეყნების გარეშე.

1921 წლის 1 თებერვლის პარლამენტის სხდომაზე დადგინდა 5 000 და 10 000 ნომინალის ბონების გამოცემა. 1921 წლის 8 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ

ოფიციალურად ძალაში მიიღო „საქართველოს ბონის 5 000 და 10 000-მანეთიანი კუპიურის გამოცემის“ დეკრეტი[11].

საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, კონსტანტინე კანდელაკი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ახალი ნომინალის ბონების გამოცემასთან დაკავშირებით უმარტავდა:

„იმ გარემოებამ, რომ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს, რომ ცხოვრება ძლიერ გაძვირდა, რომ ყოველგვან ცოტა-თუ ბევრათ თვალსაჩინო რაოდენობის საქონლის შესაძენათ კერძო ხელშეკრულობებშიც საჭიროა ძალიან დიდი თანხები, გამოიწვია ფულის ნიშნების საშინელი კრიზისი.

ხალხი, განსაკუთებით ომის დროიდან, დაშინებულია ბანკების სახელდახელო ანგარიშით სარგებლობით, თუმცა საჩეკო ოპერაციები ჩვენში არც წინათ ყოფილა მაინცა და მაინც პოპულიარული, ამიტომ ფულის ნიშნების შეცვლა ჩეკების ოპერაციებით ვერ ხერხდება საგრძნობ მასშტაბით.

დღეს, როცა კერძო აღებ-მიცემაც და სახაზინო ხარჯებიც სწარმოებს არა ასეულ და ათასეულ მანეთებით, არამედ მილიონობით და ეს მილიონები საჭიროა ნაღდი ფულით, საჭირო შეიქმნა დიდ-ძალი ფულის ერთეულების ბეჭდვა, რადგან უმაღლესი კუპიურა 1 000 მანეთს არ აღემატება.

ეს გარემოება კი იწვევს მრავალგვარ უხერხულობას. დამზადება მილიარდებისა წვრილკუპიურებით მთავრობას ძლიერ ძვირათ უჯდება, ტეხნიკა, რომელიც წინათ არსებულ მოთხოვნილებასაც ძლივს აკმაყოფილებდა, ვეღარ ასწრებს დღევანდელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რის გამოც ვერც ის კანონები, რომელიც საკანონმდებლო წესით არის მოწონებული, ვერ სრულდება. მრავალ ადგილას პროვინციებში ხაზინა უფულოთ რჩება კვირეების და თვეების განმავლობაში, ვერც ბანკებს ვუსწრებთ საკმარისი ფულის ნიშნების მიწოდებას და სხვა. წვრილ-კუპიურებით გადატანა დიდი თანხების ძლიერ უხერხული შეიქმნა, თავი რომ გავანებოთ დიდ ტრანზაქციებს, კერძო პირებიც კი ჩვეულებრივი ხარჯებისათვის იძულებული არიან აუარებელი ნიშნები ატარონ ჯიბით“[12].

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფულის შექმნის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ დროა დავუბრუნდეთ ჩემს კოლექციაში არსებული ბანკნოტის წარდგენასა და

[11] სცსა, ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 1202, ფ. 3.

[12] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, გვ. 36.

მასთან დაკავშირებულ უნიკალურ ისტორიას, რომელიც განასხვავებს მას სხვა მსგავსი ბანკნოტებისგან.

ამ ფოტოზე გამოსახულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წელს გამოცემული 5000 მანეთის ნომინალის ბანკნოტი, რომელიც 1921 წლის 1 თებერვალს მიღებული სახელმწიფო დეკრეტის საფუძველზე გამოიცა.

ეს ბანკნოტი დაბეჭდილია სპეციალურ ჭვირნიშნიან ქაღალდზე, რომელიც იტალიიდან 1920 წელს პარტიებად შემოვიდა საქართველოში. ასევე უნდა ითქვას, რომ სწორედ აღნიშნულ ფილიგრანულ ქაღალდზე გამოიცა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს პირველი რესპუბლიკის ფასიანი ქაღალდები - სახაზინო ჩეკებიც[13].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 5000 მანეთის ნომინალის ბანკნოტების ნაწილი დაბეჭდილია ჩვეულებრივ უდამცავნიშნო ქაღალდზე, მსგავსად სხვა ნომინალის ბონებისა, შესაბამისად 5000 მანეთის ნომინალის ბონებს ვხვდებით როგორც

[13] ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, გვ. 40.

დამცავნიშნიან ქაღალდზე დაბეჭდილს, ასევე ჩვეულებრივ არაფილიგრანულ ქაღალდზე გამოცემულს.

1919 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ დაადგინა ქვეყანაში ჭვირნიშნიანი ფულის საბეჭდი ქაღალდის დიდი რაოდენობით შემოტანის აუცილებლობა, რათა დაებეჭდათ მომავალი ქართული ბონები.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის, 1919 წლის 13 დეკემბრის მოხსენებაში ვკითხულობთ:

„სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციას მალე გამოელევა ქაღალდი... თუ ახლავე არ მივიღეთ სათანადო ზომები და არ დავამზადეთ მასალა, დავრჩებით ფულის ნიშნებს მოკლებული... საჭირო რაოდენობა სპეციალური ქაღალდისა სამი მილიარდი მანეთის დასამზადებლად უდრის 590.000 ფურცელს, ღირებულება კი 1 მილიონ 200 ათას იტალიურ ლირას... ჩვენს ბონზედ ეს ჯამი შეადგენს 24 მილიონს დღევანდელი კურსით“[14].

იტალიიდან საქართველოში დამცავნიშნიანი საბეჭდი ქაღალდის ჩამოტანას საქართველოს მთავრობის მიერ იტალიაში წარმომადგენლად გაგზავნილი ნიკოლოზ ჯაყელი კურირებდა[15]. გაფორმდა ხელშეკრულება იტალიის სააქციო საზოგადოება „არისტიდ სტადერინის“ პიეტრო მილანის ფაბრიკასთან საქართველოს რესპუბლიკისთვის სპეციალური საბეჭდი ქაღალდის მიწოდების შესახებ. იტალიიდან საქართველოში ფილიგრანული ქაღალდი 1920 წლის სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში პარტიებად შემოვიდა[16].

იტალიიდან საქართველოში შემოსული ფილიგრანული ფულის საბეჭდი ქაღალდის დამცავი ნიშნები, ჭვირნიშნები, ვიზუალურად ჩარჩოში ჩასმული ქართული ასოებია: სდრ-ის მხატვრული კომბინაცია (ასოთა წყობა „სდრ“ იშიფრება, როგორც: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა):

[14] გვ. 34.
[15] იქვე.
[16] იქვე.

5000-იანი ბონის ჭვირნიშნიანი ქაღალდი, აბრევიატურით სდრ



ქართული ფულის ჭვირნიშნიან ქაღალდზე ბეჭდვას უნდა გადაეჭრა ორი ძირითადი პრობლემა:

1. ქართული ფულის გაყალბების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა.
2. კარგი ხარისხის ქაღალდით დაბეჭდვისას დროში ფულის ცვეთადობის შემცირება, რაც დამატებითი ფულის მასის გამოშვებას შეამცირებდა.

„როგორც ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკამ დაამტკიცა, ქაღალდის ფულის ნიშნების 30% აღებ-მიცემობაში იცვითება და იკარგება, მით უმეტეს ეს მოსალოდნელია ჩვენში, სადაც ბეჭდვის ტეხნიკა და თვით ქაღალდის ღირსება დაბალ დონეზე სდგას“ - აღნიშნავდა კონსტანტინე კანდელაკი[17].

იტალიიდან შემოტანილ ფილიგრანულ ქაღალდზე დაბეჭდილი 5000-მანეთიანი ბონი მეტი გამძლეობითა და კარგი ხარისხით გამოირჩეოდა. ბანკნოტებზე არსებული სპეციალური დამცავი ნიშნები, ჭვირნშნები, კი მის გაყალბებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა უცხო ხელისთვის.

რაც შეეხება 10 000 მანეთის ნომინალის ბონების ემისიას, რომელიც ასევე 1921 წლის თებერვალში იგეგმებოდა, მისი პრაქტიკული რეალიზება საქართველოს მთავრობამ 1921 წლის ოკუპაციის გამო ვეღარ განახორციელა. 10 000 მანეთის ნომინალის ბონები მოგვიანებით, 1922 წელს, საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლებამ გამოუშვა.

[17] სცსა, ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 309, ფ. 1.

საინტერესოა ისტორიულად პირველი ქართული ქაღალადის ფულადი ნიშნების ვიზუალური ანალიზი.

მოცემული 5000-მანეთიანი ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია გასული საუკუნის საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) შენობა, რომლის თავზეც აღმართულია საქართველოს დროშა. ბანკნოტზე ასევე ვხვდებით საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და ფინანსთა მინისტრის ფაქსიმილესაც.

ბანკნოტის წინა მხარე - (ანალიზი)



საქართველოს პირველი
რესპუბლიკის დროშა (1918-1921)



საქართველოს პირველი რესპუბლიკის
დამფუძნებელი კრების (პარლამენტის)
შენობა.
ამჟამინდელი მოსწავლე -
ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

საქართველოს მთავრობის
თავმჯდომარის, ნოე
ჟორდანიას, ფაქსიმილე

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის, კონსტანტინე
კანდელაკის, ფაქსიმილე

ბანკნოტის გამოშვების წელი - 1921

ბანკნოტის სერიული ნომერი - **„ავ-0081“**

ბანკნოტის რევერსზე ვხვდებით ფრანგულ და რუსულ ენაზე თანდართულ ნაწერს, რომელიც გვამცნობს, რომ ქართული მანეთი მიიღება პარიტეტული კურსით რუსულ რუბლთან; ხოლო შუაში ვხედავთ საქართველოს რესპუბლიკის გერბის გამოსახულებას. ბანკნოტი დაბეჭდილია სპეციალურ დამცავნიშნიან, ჭვირნიშნიან ქაღალდზე, რომელიც საქართველოში შემოიტანეს, როგორც აღინიშნა, 1920 წელს იტალიიდან.

ბანკნოტის უკანა მხარე (ანალიზი)

საქართველოს რესპუბლიკის
გერბი

წარწერა ფრანგულ ენაზე

წარწერა რუსულ ენაზე

გარდა ამისა, ბანკნოტის უკანა მხარეს ვხვდებით კალმით დატანილ ნაწერ ტექსტს, ესაა მამის მინაწერი შვილისადმი: „გივის სახსოვრათ თავის მამასგან, 1921 წლის 14 დეკემბერი, დათიკო.“

რატომ დასჭირდა მამას შვილისთვის დაეტოვებინა წერილი არა ქაღალდზე ან ბარათზე, არამედ ბანკნოტზე? ერთი შეხედვით, უცნაურია, როდესაც მოსაგონებელი მიძღვნა ფულზე იწერება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც უფრო მეტ ისტორიულ და საკოლექციო ფასეულობას სძენს ამ ბანკნოტს, რომელსაც 2021 წლის თებერვალში ზუსტად 100 წელი შეუსრულდა.

სწორედ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის ძიებამ მოითხოვა ცალკე კვლევის ჩატარება.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ომი 1921 წლის თებერვალში დაიწყო და ქვეყნის სრული ოკუპაცია მარტის თვეში დასრულდა. 1921 წლის 14 დეკემბერს საქართველო უკვე საბჭოთა ოკუპაციაშია, ხოლო საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა – ემიგრაციაში.

უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ წერილი დაწერილია სწორედ საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში. წერილის დაწერის მომენტში საქართველო უკვე ცხრა თვის განმავლობაში საბჭოთა მმართველობის ქვეშაა მოქცეული.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ წელს, ბოლშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისის - ფორმალურად თავადაც აღნიშვნეს, თუმცა არ აღინიშნებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული სხვა სიმბოლური დღეები. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობა არ ეგუებოდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს და ფარულად თუ დემონსტრაციულად საქართველოში აღნიშნავდა დღესასწაულებს, რომლებიც 1918-1921 წლების თავისუფალ საქართველოს უკავშირდებოდა. ასეთ დღესასწაულებს მიეკუთვნებოდა 12 დეკემბერიც - პირველი რესპუბლიკის სახალხო გვარდიის დღე.

აქვე, ქართულ ბანკნოტზე დაწერილი მამა-შვილის ამბის ანალიზის გაგრძელებამდე აუცილებლად უნდა განვმარტოთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახალხო გვარდიის დღის - 12 დეკემბრის - მნიშვნელობა და მისი ისტორია.

1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციისა და რუსეთში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შემდეგ, ამიერკავკასიის რეგიონის მმართველმა ორგანომ - ამერიკავკასიის კომისარიატმა - მიიღო გადაწყვეტილება საბოლოოდ ოფიციალურად გამოჰყოფოდა რუსეთს. მოგვიანებით შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც აერთიანებდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ამიერკავკასიის რესპუბლიკამ 1918 წლის 26 მაისამდე იარსება.

ახლად წარმოქმნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო საკუთარი რეგულარული არმიის შექმნა და ცარისტული რეჟიმის გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილების გაყვანა რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ამ მხრივ ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტი იყო თბილისის სამხედრო არსენალი, რომელშიც განთავსებული იყო ცარისტული რუსეთის სამხედრო შეიარაღების საწყობები, რომელსაც რუსული სამხედრო ქვედანაყოფები იცავდნენ.

ერთ-ერთი პირველი ქართული ეროვნული სამხედრო დანაყოფი, რომელიც შეიქმნა თბილისში, ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, იყო უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმი; მას ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შემდგომ, სახალხო გვარდიის უცვლელი მეთაური იყო.

უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმი დაკომპლექტებული იყო სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მქონე თბილისელი მუშებისაგან[18].

აღნიშნული სამხედრო ნაწილი წარმოადგენდა გასამხედროებულ საპოლიციო რაზმს, მოწყობით თანამედროვე შინაგანი ჯარის ტიპის სამხედრო-საპოლიციო ერთეულს, რომელსაც უმთავრესად ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფა ევალებოდა.

ვალიკო ჯუღელი - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეთაური, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმის მეთაური.

პირველ ქართულ სამხედრო ფორმირებებზე საუბრისას ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად პოლონელი სამხედროებისა და მოხალისეებისგან შემდგარი ბრიგადა, რომელიც უსაფრთხოების კომისიის საგანგებო

[18] დავით ხვადაგიანი, „დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურები“. https://civil.ge/ka/archives/270461

რაზმის მსგავსად უზრუნველყოფდა ახლად შექმნილ სახელმწიფოში წესრიგისა და კანონიერების დაცვას.

ეს პოლონური ბრიგადა დაარსდა 1917 წელს საქართველოში, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. ბრიგადას ხელმძღვანელობდა პოლონელი სამხედრო პოლკოვნიკი - სტანისლავ როსნოვსკი[19].

1917 წელს საქართველოში შექმნილი პოლონური სამხედრო ბრიგადის სამკერდე ნიშანი

1917 წლის 12 დეკემბერს უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმმა იერიში მიიტანა თბილისის არსენალზე, განაიარაღა რუსული გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილები და ხელში ჩაიგდო არსენალში არსებული სამხედრო შეიარაღება. დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო შეიარაღება საწყის ეტაპზე უმთავრესად სწორედ ამ არსენალს უნდა დაყრდნობოდა.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმის შემადგენლობა გაფართოვდა და გადაკეთდა სახალხო გვარდიად.

[19] ენდრიუ ანდერსენი, „საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918 - 1921 წლებში“, თბილისი, 2019 წ., გვ. 376.

სწორედ თბილისის უსაფრთხოების კომისიის რაზმი იყო ძირითადი ბაზისი, რომელზეც დაშენდა პირველი რესპუბლიკის სახალხო გვარდია.

სახალხო გვარდიის დღედ იწოდა 12 დეკემბერი, ისტორიული დღე, როდესაც პირველმა ქართულმა სამხედრო შენაერთებმა წარმატებით განაიარაღეს თბილისის არსენალი, რამაც საშუალება მისცა საქართველოს ხელისუფლებას დაეწყო ეროვნული არმიის შექმნის პროცესი.

უსაფრთხოების კომისიის საგანგებო რაზმის წევრები თბილისის არსენალის აღების შემდეგ, 1917 წლის დეკემბერი

1918-1921 წლების საქართველოში სახალხო გვარდია წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს გარანტს ქვეყნის მშვიდობიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.

გვარდია მონაწილეობდა სამხედრო კონფლიქტებში, ანიტსახელმწიფოებრივი აჯანყებების ჩახშობაში, სახელმწიფო კანონიერების უზრუნველყოფაში, კრიმინალების, სპეკულანტებისა და უცხოელი აგენტების გამოაშკარავება-დაპატიმრებაში.

1919 წლის 12 დეკემბერს, გვარდიის დღის მე-2 წლისთავზე, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" N282-ში ვკითხულობთ:

„დღეს, საქართველოს დემოკრატია მეორედ დღესასწაულობს სახელოვან სახალხო გვარდიის დღეს.

დღეს საქართველოს მთელი მშრომელი ხალხი ზეიმობს თავის გამარჯვებას და ბრწყინვალედ შეჰყურებს მომავალს.

სახალხო გვარდია – ეს თავისუფლების გამარჯვების სიმბოლოა.

სახალხო გვარდია – ეს რევოლუციის მონაპოვართა ფხიზელი დარაჯია.

საქართველოს რესპუბლიკა – ეს სახალხო გვარდიის სისხლით და ოფლით ანაშენია.

სახალხო გვარდია – ეს რევოლუციონერთა და გმირთა თაიგულია, რომელსაც ფაქიზათ და მოწიწებით ეპყრობა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა“.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სახალხო გვარდია ბოლშევიკურმა მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა. საბჭოთა ტერორი უმთავრესად გვარდიელებსა და მათი ოჯახის წევრებს შეეხო.

1921 წლის 12 დეკემბრის დღესასწაული, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების აკრძალვისა, საქართველოს მოსახლეობამ მაინც აღნიშნა. ამ დღეს, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში, თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები თვითნებურად გამოვიდნენ სასწავლებლებიდან და ორგანიზებულად გაემართნენ გვარდიელების ძმათა სასაფლაოსკენ, სადაც მათი მამები, ბიძები, ნათესავები თუ უბრალოდ თანამოქალაქეები განისვენებდნენ[20].

სასაფლაოზე მისულ ახალგაზრდებს ადგილობრივი მოსახლეობაც შეუერთდა. მათ პატივი მიაგეს 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად დაღუპულ გმირებს. საფლავები მორთეს ყვავილებით, შეასრულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი "დიდება" და დაიფიცეს, რომ გააგრძელებდნენ თავიანთი მამების გზას, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას[21].

ეს ამბავი დეტალურადაა აღწერილი გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" მე-17 ნომერში, რომლის ამონარიდსაც უცვლელად გთავაზობთ:

"ყველა ის დღეები და მომენტები, რაც ქართველი ხალხის მეხსიერებაში მომგონებელია საქართველოს სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის, დღეს, სამშობლოს უცხო ძალათა მიერ დაპყრობის შემდეგ, გადაიქცენ ნამდვილ ეროვნულ

[20] გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, N-16, 1922 წ.
[21] გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, N-17, 1922 წ.

დღეებათ. თვით მიუვალ მთებში და მიყრუებულ სოფლებშიაც კი ხალხი ერთსულოვნად ემსახურება ერის სუვერენობის და დემოკრატიის თავისუფლების დიდ დღეებს.

ერთი ასეთი დღე საქართველოსთვის არის 12 დეკემბერი. ის საქართველოს სახალხო გვარდიის დღეა. ამ დღეს 1917 წელს, თფილისის მუშებმა აიღეს არსენალი, ხელთ იგდეს თოფ-იარაღი და შეიარაღებულები შეუდგნენ დემოკრატიის ფრონტების გამაგრებას, თავდამსხმელ ძალათა მოგერიებას და რევოლუციის მონაპოვართა დაცვას. სამი წლის განმავლობაში გვარდია გადაიქცა სახალხო ორგანიზაციათ, ის შეიარაღებული ქარხნის მუშების და ღარიბ გლეხკაცობის სამხედრო რაზმი იყო. მისი დროშა საერთაშორისო მუშათა კლასის წითელი დროშა იყო.

სახალხო გვარდია რესპუბლიკის ჯართან ერთად უმთავრესი დასაყრდნობი ძალა იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის. ათეულ წლობით რევოლუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი მუშები იყვნენ მისი მედროშენი და მათი ძალა იარაღთან ერთად იყო უმთავრესად რევოლუციონური შეგნება და ღრმა რწმენა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ სვლისა.

ამისთვის იყო რომ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაპყრობის პირველი დღიდანვე განსაკუთრებული რეპრესიები შემოიღეს გვარდიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. თითქმის მთელი მთავარი შტაბის, საოლქო და რაიონული შტაბების შემადგენლობა, რომელთა 90 პროცენტი ქარხნების ან სოფლების მუშებია, აგერ მეცხრე თვეა ციხეებში სხედან. მრავალი ყოფილი გვარდიელი, რომელთაც სდევნის რუსეთის ჯარები, გადახვეწილი არიან თავის სახლკარიდან და საქართველოს მთებში და ტყეებში იფარავენ თავს...

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ დღეს საქართველოში და უმთავრესად კი თფილისში, სახალხო გვარდიელს ვერავინ ახსენებს, ვინაიდან ამისთვის მოგელით "ჩეკას" სარდაფი და ხანგრძლივი ციხე. ასეთ პირობებში აბა ვინ შესძლებდა, ან გაბედავდა გაეხსენებია გვარდიის დღე, შემოეკრიბა მისი დროშის ქვეშ თფილისის პროლეტარიატი და ერის გლოვის ათი თვის თავზე მოეგონებია დამპყრობელთათვის, რომ საქართველოს დემოკრატია მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, არ მომკვდარა, მას ქედი არ მოუხრია უცხო ძალთა წინაშე და არც შერიგებია თავის ბედს.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. გვარდიის დღე იდღესასწაულა თფილისმა. ამ დღეს ძმათა სასაფლაო მოირთო ურიცხვი ყვავილებით, დახოცილ მებრძოლთა საფლავებს ესმოდა მჭექარე სიტყვები, მუხლ მოყრილი ხალხი ცრემლებით ფიცს აძლევდა ბრძოლაში დაღუპულთ, გაისმოდა გლოვის გალობა და ეროვნული ჰიმნი..."

როგორც აღვნიშნე, 1921 წლის 12 დეკემბერს ურიცხვმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი ნაძალადევის ძმათა სასაფალოზე, სადაც განისვენებდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის გვარდიისა და ჯარის დაღუპული სამხედროები:

"ვინ იყო ეს ხალხი, რომ ასე უშიშრათ, ასე თავხედურათ, ასეთი შეუპოვარი გამბედაობით გამოვიდა ქუჩებზე, გაიარა თფილისი, შემოერტყა ნაძალადევის ძმათა სასაფალოს, მოიხადა თავისი წმინდა ვალი და დასდო ფიცი. ფიცი მებრძოლთა გზის გაგრძელების.

ეს იყო მოზარდი თაობა...

მუშის და ხელოსნის შემოგლეჯილი შვილები, სოფლიდან ქალაქში სასწავლად მოსული ახალგაზრდები, ისინი ვისაც მამები ციხეებში ყავთ და ოჯახები შიმშილს განიცდიან, ისინი ვინც არ იციან სად არიან თვისი მამები, რადგანაც მათ დევნიან დამპყრობელნი, და ისინი, ვისაც მამები ბრძოლებში დაეხოცათ. აი ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები.

მამებით დაობლებულნი, სამშობლოს უბედურებით მგლოვიარენი, დედის ცრემლებით გულშეწუხებულნი, მარჩენალს მოკლებულნი გამოვიდნენ ქუჩებზე და ერის გლოვა-გოდების წელს მივიდნენ მამების საფლავთან, რომ შვილების ვალი მოეხადათ და მათ ანდერძისთვის შეეფიცათ..."

დემონსტრაციის მიმდინარეობისას ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, რომლის პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით კონფიდენციალურობა შენარჩუნებულია - სახელი და გვარი არ არის ხსენებული, დამსწრეებს შემდეგი სიტყვით მიმართა:

"მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდვეს - ჩვენი ვალია ეს ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა ძვლებს ფიცი მივსცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულ მამებმა მოიმოქმედეს. ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველებზე და დამპყრობელებმა მათ გვამებზე გადმოაბიჯეს, ხოლო მკვდრები ყვავ-ყორნებს უპატრონოთ დაუტოვეს. მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ყოველ ქოხს გლოვა დაუფლებია, დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონობის უღელ ქვეშ, ხოლო უცხო ძალები და მოღალატენი დაპატრონებიან ჩვენს საუნჯეს და ურცხვათ გვძიძგნიან.

დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე, საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, მოვედით ჩვენ აქ, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებული ანდერძს ერთხელ კიდევ შევფიცოთ".

12 დეკემბრის აღნიშვნიდან მომდევნო დღეებში საბჭოთა რეჟიმმა დაიწყო დღესასწაულის აღნიშვნაში მონაწილე პირების გამოაშკარავება და დაპატიმრება.

საბჭოთა უშიშროებამ დაიწყო მთელი თბილისის მასშტაბით სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაკითხვა. ეძებდნენ ამ შეკრების მოთავეებს, მონაწილე პირებს.

14 დეკემბერს, საქართველოს მოსახლეობის მიერ არალეგალურად 12 დეკემბრის დღესასწაულის აღნიშვნიდან მე-2 დღეს, გაზეთ "კომუნისტში" დაიბეჭდა შემდეგი სახის მწვავე მიმართვა სათაურით - **"საჭირო ძალათა გაერთიანება"**[22], რომელშიც ღიად იყო დაფიქსირებული მოწოდება საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რათა მეტი სიმკაცრითა და ყურადღებით ებრძოლათ "ანტისახელმწიფოებრივ" "მენშევიკურ ელემენტებთან", რომელნიც დარჩენილნი იყვნენ ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე. მოხსენებაში ასევე ვკითხულობთ, რომ საქართველოს ემიგრირებული მთავრობა დაუღალავად ცდილობდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას, რათა ანტანტის ქვეყნების დახმარებით აღედგინა კონტროლი გასაბჭოებულ საქართველოზე, შესაბამისად საჭირო იყო სრული "ძალების გაერთიანება" და საქართველოში დარჩენილი მენშევიკური ნაწილებისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მომხრე საზოგადოების სრულად განადგურება:

„ჩვენში აქა-იქ კიდევ ისმის ხმები ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების შეკავშირების, საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის წინააღმდეგ, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩვენი ძალების უფრო მჭიდროთ შეკუმშვა, მთელი ჩვენი შესაძლებლობის შეერთება, მოსალოდნელ საჭიროების დროს მათი ერთ წერტილში დასარტყმელად და მტრების გასანადგურებლად. ცხადია, რომ ეს არის ხმები გაქცეულების (იგულისხმება ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა) აგენტების, ხალხის მტრებისა და არა მეგობრების. მშრომელი ხალხის კლასიური მტრები არ სთვლემენ“.

ბანკნოტზე დატანილი წერილი, რომელშიც მამა შვილს მოსაგონებლად უწერს სიტყვებს, ისტორიულად ემთხვევა ზუსტად 1921 წლის 12 დეკემბრის შემდგომ დაწყებულ მასობრივ დაპატიმრებებს. წერილი დაწერილია 1921 წლის 14 დეკემბერს, ზუსტად 12 დეკემბრის დღესასწაულის გასვლიდან ორი დღის შემდგომ, საბჭოთა ტერორის ფონზე, იმ დროს, როდესაც ბოლშევიკური გაზეთები აჭრელებული იყო "ძალების გაერთიანების" მოთხოვნითა და საქართველოში დარჩენილი "მენშევიკური ელემენტების" სრული განადგურების მოწოდებებით.

[22] გაზეთი „კომუნისტი“, N236, 1921 წ.

„გივის სახსოვრათ თავის მამასგან, 1921 წლის 14 დეკემბერი. დათიკო“

და მაინც, რატომ დასჭირდა მამას შვილისთვის დაეწერა სამახსოვრო მიძღვნა ასე უჩვეულოდ არა ფურცელზე, არამედ ბანკნოტზე?

როგორც ითქვა, ეს ტექსტი დაიწერა საბჭოთა მასობრივი ტერორის ჟამს. შესაბამისად ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ დიდი ალბათობით წერილის ავტორმა იცოდა, რომ ,,ჩეკა“ მის დაპატიმრებასაც გეგმავდა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მანამ, სანამ დააკავებდნენ, მოესწრო და დაეტოვებინა შვილისთვის მოსაგონებელი წერილი, რომელიც სიმბოლურად თავისუფალი საქართველოს პერიოდში გამოცემულ ფულზე დაიტანა, იმ ქვეყნის ბანკნოტზე, რომელმაც არსებობა 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა, თუმცა მაინც აგრძელებდა ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად.

მამამ სახსოვრად დაუტოვა წერილი იმ შვილს, რომლის თაობაც 2 დღის წინ, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის აკრძალვისა, სრულიად უშიშრად ესტუმრა პირველი რესპუბლიკის ძმათა სასაფლაოს და დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ სამხედროებს პატივი მიაგო.

ეს ბანკნოტი ჩემთვის ასოცირდება დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოსთან, რომლის არსებობის პერიოდშიც გამოიცა იგი და ამავდროულად საბჭოთა ოკუპაციასთან, საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთან. ამ ბანკნოტმა საუკუნეს გაუძლო და შემოგვინახა, ერთი მხრივ, თავისუფალი საქართველოს, პირველი რესპუბლიკის, ისტორია, მეორე მხრივ - ერთი ოჯახის ტრაგედიის სახით სრულიად საქართველოს ტრაგედია. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ოჯახი მსხვერპლი გახდა იმ პოლიტიკური რეჟიმის, რომლის მმართველობის პერიოდშიც არაერთი მასობრივი ტერორი და დაპატიმრება განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მასალები:

1. ფონდი 1833, (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ფონდი) აღწერა 1, საქმეები: 538; 1202;
2. ფონდი 1836 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდი) აღწერა 1, საქმე 309;
3. ფონდი 1891 (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ფონდი) აღწერა 1, საქმე 96.

ლიტერატურა:

4. ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში", თბილისი, 2018 წ.

   კვლევის გაცნობა შესაძლებელია ონლაინ, მითითებულ ბმულზე: https://archive.gov.ge/storage/old_files/doc/3/3936.pdf

5. ენდრიუ ანდერსენი, „საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918 - 1921 წლებში", თბილისი, 2019 წ.

ჟურნალ-გაზეთები:

6. „საქართველოს რესპუბლიკა", N-282, 1919 წ.
7. „თავისუფალი საქართველო", N-16, 1922 წ.
8. „თავისუფალი საქართველო", N-17, 1922 წ.
9. „კომუნისტი", N-236, 1921 წ.

ონლაინ რესურსები:

10. დავით ხვადაგიანი, „დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურები" - https://civil.ge/ka/archives/270461